შპს "აისბერგი"

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო
პერიოდისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება .....

ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....

1. ზოგადი ინფორმაცია .....

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა .....

3. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება .....

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადების და დამტკიცების დროს 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს აისბერგი-ს (შემდგომში კომპანია) საიდენტიფიკაციო კოდი 215112697 ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მოამზადოს კომპანიის ფინანსური ანაგრიშგება , რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის. ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მმს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე
- ინფორმაციის წარდგენაზე სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას.
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე.
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანასური მდგომარეობის მსს ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2019 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი----------გიორგი ლემონჯავა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(1 ლარი)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		*2301*	*596*
გადახდილი ავანსები		*190465*	*190465*
გაცემული სესხები		0	0
მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		317755	329500
გრძელვადიანი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები			
სავაჭრო მოთხოვნები		1010818	1437758
საინვესტიციო ქონება			
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში			
სხვა საგადასახადო აქტივი		-550	-18787
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები		375172	412895
სულ აქტივები		**1895961**	**2352427**
ვალდებულებები			
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები			
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		152382	203108
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		615287	1044953
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		1783064	1666088
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები		3891	2891
სულ ვალდებულებები		2554624	2898253
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		97445	97445
რეზერვი		-2055	-14405
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		-752953	-610079
სულ საკუთარი კაპიტალი		-657563	-527039
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1895961	2352427

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: /გ. ლემონჯავა/

9-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(1 ლარი)

	შენიშვნა	2018 წელი	2017 წელი
ამონაგები			
გამოყენებული ნედლეული და მასალები			
პერსონალის ხარჯები		43594	65736
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		5956	5973
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		33559	38621
ცვეთა და ამორტიზაცია		37756	29155
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		374	1293
საოპერაციო მოგება			
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან		11133	-10391
სხვა ფინანსური შემოსავალი			
სხვა ფინანსური ხარჯი			
მიღებული დივიდენდები			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან			
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)			

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: /გ. ლემონჯავა/

9-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: /გ. ლემონჯავა/

9-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(1 ლარი)

	2018 წელი	2017 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	0	0
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0	0
სავალუტო კურსის ეფექტი		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	0	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12,36	74,53
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	596	12,36

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: /გ. ლემონჯავა/

9-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "აისბერგი" (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2001 წლის 19 ივნისს, კომპანიის ძირითადი საქმიანობა სამაცივრე ნაგებობის (საწყობი) იჯარა.
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას 100%-იან წილებს ფლობელი: გურამი წიწილაშვილი.
კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ფოთი ლარნაკას ქ.12.
საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებილი ფილიალები ან/და წარმომადგენლები არ გააჩნია.
კომპანიის დირექტორია გიორგი ლემონჯავა. კომპანიის მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების და შეფასების პოლიტიკა

მსს ფასს-ზე გადასვლა
თანმხლები ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, პირველია, რაც კომპანიამ მოამზადა. კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესადარისი პერიოდის მონაცემებს, როგორც აღწერილია სააღრიცხვო პოლიტიკებში. ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მმს ფასს) 2017 წლის რედაქციის მიხედვით. ანგარიშგება მომზადდა პირველად „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება - „მსს ფასს-ზე გადასვლა"
მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის -„ფინანსური ანაგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)"-შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვარს ან მის მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.
კომპანია წინა საანგარიშო პერიოდებში იყენებდა ადრინდელი საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებს და „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანაგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან.
სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ კომპანიის პირობებში არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო საანგარიშგებო პერიოდში. არნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა. კორექტირება შეეხო მხოლოდ ძირითად საშუალებებსა და საინვესტიციო ქონებას. ადრინდელი საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვისა პრინციპებიდან მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის შეფასდა რეალური ღირებულებით და ეს რეალური ღირებულება დადგინდა მის დასაშვებ საწყის ღირებულებად ამ თარიღისთვის. მოცემულ სტანდარტზე გადასვლის თარიღისათვის კორეტირების თანხები აღიარდა გაუნაწილებელ მოგებაში
ფინანსური ანაგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის და მისი საქმიანობის შედეგების ტენდეციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწისებში შეგვეტანა წინა საანაგრიშგებო პერიოდის 2018 წლის ფინანსური ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით- ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე.
კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.
ფინანსური ანგარიშების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება
კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ხელმძღვანელობას არ გაუკეთებია რაიმე მნიშვნელოვანი მსჯელობა გარდა შეფასებებისა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნებოდათ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე აღიარებულ თანხებზე.
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 1 (ერთი) ქართული ლარის სიზუსტით.
ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს 30-ე განყოფილების "ოპერაციები უცხოურ ვალუტაში" მოთხოვნის შესაბამისად.
უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაინგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - "კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება(ზარალი)"
უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.
სავალუტო მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები. დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2018წ
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766
ლარი/1 ევრო	3.0701

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა კომპანიის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპრაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მიერ დამატებითი ინვესტირების გარეშე.
საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით, საიჯარო ვადის შესაბამისად.
შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით და ნაჩვენებია დღგ-სა და ფასდათმობების გარეშე.

საპროცენტო შემოსავალი და მოგება(ზარალი)/საკურსო სხვაობიდან

კომპანიის საპროცენტო შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში არსებული მიმდინარე ანგარიშების ნაშთებიდან. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
თანხები, რომელიც დარიცხულია გაწეული მომსახურებისთვის, მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ არის ანაზღაურებული დამკვეთის მიერ, წარსდგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლში "სავაჭრო და სხვა მოთხოვნები".

კომპანიის მოგება(ზარალი) საკურსო სხვაობიდან მოიცავს ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მირებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც შემოსავალი ან ხარჯი, იქიდან გამომდინარე უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

სხვა შემოსავლის აღიარება

გაწეული მომსახურებიდან მიღებული და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.
კომპანია აღიარებს მოთხოვნებს. მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშგებო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულება შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულება პირობების მონაწილე.
ფინანსური აქტივის აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადაეცემა ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.
ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.
ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად.

- სესხები და მოთხოვნები

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას აღიარდება გარიგების ფასით.
ზოგადად კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით, ანგარიშსწორების თარიღით. ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია გაცემულ სესხებით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.
აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინასურია ქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს.
კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან ბ) იგი

გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები
კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს ბანკიდან მიღებული სესხის ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ბანკისათვის გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარების აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.
მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.
ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გაიანგარიშება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რაც გულისხმობს პირველ წელს ცვეთა ერიცხება აქტივებს თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ წლებში საბალანსო ღირებულებით. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.
ძირითადი საშუალებების სახეების მიხედვით დადგენილი ცვეთის ნორმა მოცემულია ქვემოთ:

ჯგუფი	ცვეთის %
შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	8-20%
საოფისე ტექნიკა და კომპიუტერული მოწყობილობა	20%

ყოველ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება, აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში , მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პრესპექტიულად.
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არემატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.
ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

საოპერაციო იჯარა-კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება "სხვა ხარჯების" მუხლში.
კომპანიას, როგორც მეიჯარე- კომპანიას საოპერაციო იჯარის ფარგლებში გაქირავებული აქვს გარკვეული აქტივები. საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება "სხვა შემოსავლების" მუხლში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.
მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.
კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სათადარიგო ნაწილებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვცნები

კომპანია საქონლის და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.
ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექს"-ში მოგების გადასახდის დაბეგვრის რეფორმის შესახებ, რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონურ მოდელის" სახელით, რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. თუ მოხდა მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები, როლებიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩაქარი, ხარჯები რომლებიც არა ადაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობათან, ავანსების გადახდა ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებზე და სხვა) ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, რომლებიც წარდგენილია "ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი) "სხვა ხარჯების" და "ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებელის" მუხლში, შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს გადასახდელია საგადასახადო ორგანოში როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ-ს ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურების მიღება. საგადასახადო ორგანოს მიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით, როდესაც კომპანიის მეირ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუსავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

ანაგრიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლები

ანაგრიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები,, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისხება ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსური ანაგარიშგების შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ანაგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა,, აისხება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზანია შენარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქიონირებადმა საწარმომ, ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

დივიდენდი

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდები, ექვემდებარება საქრთველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში

3. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 30 სექტემბერს